

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორის  
ბრძანება № 01-01/73

თბილისი

“ 12 “ ოქტომბერი 2018 წ.

შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის ვადების, ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 11.10.2018 წ. ბრძანების 931/ი, გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის და ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს 2018-2019 სასწ/წ შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის ადგილები:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 50 ადგილი;
- ტურიზმი - 50 ადგილი;
- ჟურნალისტიკა - 20 ადგილი;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი;
- საბანკო საქმე - 10 ადგილი
- მასობრივი კომუნიკაცია - 10 ადგილი

სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 100 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 30 ადგილი;
- კერძო/ბიზნეს სამართალი - 30 ადგილი

**2. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:**

- ✓ სტუდენტის რიგგარეშე მობილობის თაობაზე წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადა - **2018 წ. 17 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით;**
- ✓ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა - **2018 წლის 18 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით**
- ✓ სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2018 წლის 6 ნოემბერი.**

**3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან/და პასპორტის ასლი;
- ✓ 2 ფერადი (3x4) ფოტოსურათი და ელ. ვერსია CD-ზე;
- ✓ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);
- ✓ სამხედრო-სავალდებულო აღრიცხვის მოწმობის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

- მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტების ათვისება მოხდეს უფასოდ;
- საბუთების მიღება დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს;
- უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით;
- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი

მათიაშვილი